მომსახურების ხელშეკრულება №

ბილისი

26 ივლისი 2012წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს "Cityservice„ ს/კ №404398424, მისი დირექტორის ა. აფციაურის სახით, შემდგომში "დაქირავებულად„ წოდებული და მეორეს მხრივ ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე ს/კ №202056069 შემდგომში „დამქირაქვებლად" წოდებული ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ფასი

1.1 „დამქირავებელი" ქირაობს „დაქირავებულს" მისივე თამხმობით, რათა მან შეასრულოს შემდეგი შრომითი საქმიანობა: ტვირთის გადაზიდვის მომსახურება;

1.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 330 (სამას ოცდაათი) ლარი (დღგ-ს გარეშე);

2. დაქირავებულის უფლება და ვალდებულებები

1. დაქირავებული ვალდებულია კეთილსინდისეირად და ხარისხიანად შეასრულოს დაკისრებული მოვალება.
2 განუხრელად და ზუსტად შეასრულოს დამქირავებლის მითითებები.
3. დაქირავებული ვალდებულია მკაცრად დაიცვას სამუშაოების შესრულების შრომის უსაფრთხოება, მისი შეუსრულებლობის და ან დაზიანების (ზარალის) შემთხვევაში პირადად აგებს პასუხს.
4. ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებითა და შეღავათებით.

3. დამქირავებლის უფლება და ვალდებულებები

1. „დამქირავებელი" ვალდებულია გამოუყოს დაქირავებულს სამუშაო ადგილი და შეუქმნას მას სამუშაო პირობები.
2. „დამქირავებელი" ვალდებულია წინასწარ შეთამხმებული განაკვეთით გადაუხადოს გასამრჯელო დაქირავებულს შესრულებული სამუშაოებისათვის ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით (უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში), გადახდის ვადის დაგვიანების შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლოს სახით თანხის 0.2%.
3. „დამქირავებელს" წინამდებარე ხელშეკრულების უხეშად და არაერთჯერადად დარღვევის შემთხვევაში შეუძლია „დაქირავებულთან" ვადამდე შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა, მას აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებიც.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეთა პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება შრომისა და სამოქალაქო კოდექსით, „მეწარმეთა შესახებ" კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

5. წარმოშობილი დავის გადაწყვეტა

დამქირავებელს და დაქირავებულს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი

1. ხელშეკრულება იდება 2012 წლის 26 ივლისი, 2012 წლის 27 ივლისამდე.
2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
3. ეს ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით ან საქართველოს შრომითი კოდექსის 37-ე მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლებიდან ერთ–ერთის არსებობისას.

7. სხვა დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეკზემპლიარად, რომელთა თითო ეგზემპლიარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.
2. ნებისმიერი ცვლილება, ან დამატება ფორმდება წერილობით, ან ხელშეკრულების დამატების სახით, ან ახალი ხელშეკრულებით.
3. ხელშეკრულებას თან ერთვის მიღება-ჩაბარების აქტი.

მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შპს "Cityservice„ მხრიდან:		ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე	
მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ა.ჩეხოვის №39 ტელ: 223 60 43; 5 99 63 63 60	მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, დაღმაშენებლის გამზირი 103
ს/კ:	404398424	ს/კ:	202056069
ბანკი:	სს „თიბისი ბანკი"	ბანკი:	
ბანკის კოდი:	TBCBGE 22	ბანკის კოდი:	
ანგარიშის N:	GE38 TB73 5623 6020 1000 01	ანგარიშის N:	
ხელმოწერა:	ა.	ხელმოწერა:	

GEORGIA CITYSERVICE LTD. 404398424

მიღება-ჩაბარების აქტი

თბილისი 27 ივლისი 2012 წ.

ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე ს/კ № 202056069მდებარე შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 103 (შემდგომში "დამკვეთი") და **შპს "Cityservice"**, მდებარე შემდეგ მისამართზე: თბილისი. ა. ჩეხოვის №39. წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ აფციაურის მიერ (შემდგომში "შემსრულებელი") აცხადებენ, რომ შემსრულებელმა ჩააბარა, ხოლო დამკვეთმა ჩაიბარა დამკვეთსა და შემსრულებელს შორის **2012 წლის 26 ივლისს** დადებული მომსახურების ხელშეკრულება №_ _ --ით გათვალისწინებული სამუშაო და მისი პროდუქტი სრულად. ამასთან დამკვეთი წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით აცხადებს, ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ მას არ გააჩნია რაიმე მოთხოვნა ან პრეტენზია შემსრულებლის მიმართ ზემოაღნიშნული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით.

ჩავაბარე: **შპს "cityservice"**	ჩავიბარე: ქ თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე
საქართველო. თბილისი. ა. ჩეხოვის №39 ტელ: 223 60 43 5 99 63 63 60	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, დაღმაშენებლის გამზირი 103
ა. აფციაური ..... (ხელმოწერა) ბ.ა	- - - - ..... (ხელმოწერა) ბ.ა